Embassy of the United States of America

12 აპრილი, 2017
თბილისი, საქართველო

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

საერთაშორისო ურთიერთობებისა და
სტრატეგიული დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსს

ბატონო კახაბერ,

აშშ-ის საელჩო საქართველოში 23 აპრილს, 11:00-დან 18:00 საათამდე სასტუმრო თბილისი რუმს ჰოტელში (მ. კოსტავას ქუჩა N14) მართავს „მეგობრობის ფორუმს". ღონისძიება ეძღვნება ამერიკისა და საქართველოს დიპლომატიური თანამშრომლობის 25 წლის იუბილეს.

მოგმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროთ ინფორმაციის გავრცელებაში თბილისის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ღონისძიებაზე აშშ-ის საელჩო წარმოადგენს საგანმანათლებლო, გაცვლით და საგრანტო პროგრამებს, როგორც სკოლის მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის და მეცნიერებისთვის. „მეგობრობის ფორუმზე" ასევე წარმოდგენილი იქნება აშშ-ის საელჩოს საკონსულო განყოფილება, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები, რომელთანაც მრავალწლიანი წარმატებული თანამშრომლობა გვაკავშირებს. პარტნიორებს შორის იქნებიან სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციები. სტუმრებს საშუალება ექნებათ გაეცნონ ამერიკელი ავტორების იმ წიგნებს, რომელთა თარგმნა ქართული ენაზე აშშ-ის საელჩოს დახმარებით განხორციელდა.

საინფორმაციო გამოფენის პარალელურად, გაიმართება სემინარები სხვადასხვა თემებზე, მათ შორის ამერიკის საგანმანათლებლო სისტემაზე. სტუდენტებს მივაწვდით ინფორმაციას, თუ რა გზები არსებობს ამერიკაში სწავლის გასაგრძელებლად, როგორ მოიძიონ მათთვის სასურველი უნივერსიტეტი, შეავსონ განაცხადი და მოიპოვონ დაფინანსება.

„მეგობრობის ფორუმი" ერთ-ერთია იმ ღონისძიებათა შორის, რომლებიც გაიმართება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში საქართველო-ამერიკის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავის აღსანიშნავად. ღონისძიებათა ციკლი დასრულდება 29 აპრილს ოსკაროსანი კომპოზიტორის, ჯონ ვილიამსის მუსიკის კონცერტით. ბილეთების შეძენა შესაძლებელია საიტზე www.biletebi.ge . 25 წლისთავის აღსანიშნავად დაგეგმილ ღონისძიებათა სრული სია შეგიძლიათ იხილოთ ამერიკის საელჩოს სოციალურ გვერდზე www.facebook.com/tbilisi.usembassy

პატივისცემით,

ფეშიენ უომპლერი
კულტურის ატაშე